**სახელმწიფო შესყიდვების**
**სააგენტოს თავმჯდომარის**
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080164357367022

№ 3521

07 / ნოემბერი / 2022 წ.

## შპს „ალგეთის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია;

**გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების რეკვიზიტები:** 10.12.2021 № 135 (CMR210144303); 10.12.2021 №134 (CMR210144301); 10.12.2021 №133 (CMR210144298);

**შესყიდვის ობიექტი:** 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

**მიმწოდებელი:** შპს „ალგეთი“ (ს/ნ: 434177516);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 9 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 9 აგვისტოს № 124-124222219; № 124-1242222110 და № 124-1242222111 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 6089; № 6088; № 6087), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ალგეთის“ (ს/ნ: 434177516) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2021 წლის 10 დეკემბრის № 135; № 134 და № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით (CMR210144303; CMR210144301; CMR210144298) ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართის tekoelene2010@gmail.com მეშვეობით, 2022 წლის 11 აგვისტოს № 2653 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

1.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2022 წლის 27 სექტემბრის №3135 წერილის პასუხად 2022 წლის 27 ოქტომბერს წარმოადგინა 2022 წლის 27 ოქტომბრის № 124-1242230030 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №8236), ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 10 ოქტომბრის №3191 განკარგულებით შპს „ალგეთის“ (ს/ნ: 434177516) შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა ერთი თვით.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არ შეასრულა 2021 წლის 10 დეკემბრის № 135, № 134 და № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მას არსებულ საკითხთან დაკავშირებით არ გააჩნია დამატებითი დოკუმენტები.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2021 წლის 10 დეკემბერს მხარეთა შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო №135, №134 და №133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები (CMR210144303; CMR210144301; CMR210144298), რომლების თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა სკვერების რეაბილიტაციის, სპორტული ინფრასტრუქტურის და ატრაქციონების მოწყობის სამუშაოები, ხელშეკრულებების გაფორმებიდან 2022 წლის 18 და 28 იანვრის ჩათვლით. № 135 ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 46 816,31 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 მარტი. № 134 ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 56 570,22 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 მარტი. № 133 ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 40 960,30 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 მარტი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების 10.2. პუნქტის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

4.3. 2022 წლის 20 ივნისის, № 135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 20 აგვისტო.

4.4. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 23 დეკემბრის №124-124213571, 2022 წლის 14 თებერვლის №124-1242204594, 2022 წლის 16 მარტის №124-1242207510, 2022 წლის 15 აპრილის №124-1242210569 წერილებით დგინდება, რომ № 135 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდებოდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 აგვისტოს № 06-1242221421 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მიმწოდებელს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ს და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 4 აგვისტოს № ბ124.1242221611 ბრძანებით ცალმხრივად შეწყდა №135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

4.7. 2022 წლის 20 ივნისის, № 134 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 20 აგვისტო.

4.8. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 23 დეკემბრის №124-124213572, 2022 წლის 14 თებერვლის №124-1242204593, 2022 წლის 16 მარტის №124-1242207511, 2022 წლის 15 აპრილის №124-1242210573 წერილებით დგინდება, რომ № 134 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ ასრულებდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.9. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 აგვისტოს № 06-1242221424 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მიმწოდებელს არ შეუსრულებია № 134 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ს და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.10. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 4 აგვისტოს № ბ124.1242221612 ბრძანებით ცალმხრივად შეწყდა №134 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

4.11. 2022 წლის 20 ივნისის, № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 20 აგვისტო.

4.12. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 23 დეკემბრის №124-124213573, 2022 წლის 14 თებერვლის №124-1242204592, 2022 წლის 16 მარტის №124-1242207512, 2022 წლის 15 აპრილის №124-1242210572 წერილებით დგინდება, რომ № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.13. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 აგვისტოს № 06-1242221416 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მიმწოდებელს არ შეუსრულებია № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ს და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.14. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 4 აგვისტოს № ბ124.1242221613 ბრძანებით ცალმხრივად შეწყდა №133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ალგეთი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ალგეთი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

## სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ალგეთი“ (ს/ნ: 434177516) 2022 წლის 8 ნოემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს სამი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე